



თვითმმართველი თემი  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 53

„27“ მაისი 2015 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული  
უძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემაზე  
თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილების და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რათა მან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, პირობით, აღნაგობის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით სოფელ იყალთოში სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს 2 წლის ვადით გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში მდებარე 180 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.12.37.031) ღირებულებით 5120 ლარი, ამავე სოფელში მდებარე 64 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.12.37.045) ღირებულებით 1820 ლარი და ამავე სოფელში მდებარე 4435 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.12.37.080) ღირებულებით 84 400 ლარი.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



*Handwritten signature in blue ink.*

პაატა გიორგობიანი